

140
1966/9

800

ეროვნული
ბიბლიოთეკა



30 მ გ 17 ა 9 1966



Ժողովուրդներ! իջե՛ք զլուսն
 և սահմանների շահեր,
 շրջե՛ք ձեր սեփական
 և մի փոփոխե՛ք իրար
 շահերը:

Մեծ
 Գրք
 Գրքատուն



9.036.



ՀԱՅԵՆԱ





კრთაველზე აკეთ სიყვარულითვის
 არაპირს უმადოა არაპირს არ აუხუნია სიყვარული
 იმით სიხალდეზე. არაპირს ეს კრთაველზე
 აკეთა აკეთა თაისი კოვიაში. აუხუნისყვარული
 სანი გუა სიყვარულითს ყველაზე შესანიშნავი
 ძინოებაა დასაქვით პიკროსი იხავე პიკროს
 ღირე პიკროსისავე ბინსხვაპიკროსი. იხი
 თაისიუხალი ყოველგვარი ბინსიკისავე და
 აღოკმინავეს პიკროსი ძინოებათუ მსგავსად
 პიკროსივეს მოლოკიბაზე მიღლა ღვანს. სიყვარულით
 ნაკროვია თაისი ღვანს.

ლი პიკროსი



თველოში, დაუმეორებლად გამოჩენილ
 პირველ მწერლებსა და მეცნიერებს.
 მათი დახმარებით სრულყოფდა და
 თანდათან ხედავ „ვეფხისტყაისის“
 ინგლისურ თარგმანს, თათბირობდა
 ცალკეული ადგილების გაგებაზე. სა-
 უბედუროდ, სიცილით ძალზე ადრე
 გეგმა პოეტ-ქალს, ორი ათეული
 წლის მუშაობის მიუხედავად, მის
 ჯერ კიდევ დასრულებულად არ მია-
 ჩნდა თავისი შრომა. მისი ძმის ოლივერის
 გადმოცემით, იგი სამუშაოდ
 კიდევ ათ წელს ვარაუდობდა, რათა
 შესაფერად სრულყოფილი გამოსე-
 ჟვლა მისთვის ასე საყვარელი თხზუ-
 ლების თარგმანი.

გამო, რაზეც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ.
 მაშინ ახალგაზრდა ლიტერატორი —
 იონა მეუნარეას — იქვე მიუღია
 გადაწყვეტილება, რათა ფრანგი მე-
 თხელისათვისაც ხელმისაწვდომი
 გაეხდა რუსთაველის სიმღერე. მან
 დაიწყო კიდევ პოემის ფრან-
 გულ თარგმანზე მუშაობა. ილია
 ჭავჭავაძემ მას სთხოვა თარგმნის
 კიდევ უფრო დატკბობა, რადგან
 იგი ძალზე გამოადგებოდა ფრანგულ
 ენის მცოდნე მხატვარ ზირისაც.
 მართლაც, იონა მეუნარეამ საოც-
 რად მოკლე ვადებში თარგმნა მთელი
 „ვეფხისტყაისანი“ და სასწრაფოდ
 გაუგზავნა იგი პეტერბურგში მყოფ
 მისი ძირის, რომელიც მაშინვე ინ-
 ტენსიურად შეუდგა პოემის ილუსტრ-
 ირებას. თუ რა მაღალი შეფასება
 მისცა ილია ჭავჭავაძემ იონა მეუნარე-
 ასა დასა, ამ საქმეში, ცნობილია
 თვით ილიას სიტყვებიდანვე, რომე-
 ლიც მას წარმოუთქვამს ერთ ოციცი-
 აღურ შეხვედრას: „რუსთაველი
 შუბა, და მთავარე—მეუნარეა, რად-
 გეცავ ვით მზის შუქით ანათობს
 მივარე, ისევე რუსთაველის შუქით
 იმბათობებს მეუნარეაც“.

ქართველ მოღვაწეთა ამ ერთობ-
 ლივი შრომის შედეგად 1888 წელს
 გამოვიდა პოემის შესანიშნავი, მდი-
 დრული გამოცემა.

ისევე როგორც მარი ბროსეს თარ-

გმანი, იონა მეუნარეას თარგმანიც
 აღარ გამოქვეყნებულა და იგი დღეს-
 დღეობით დაცარგულად ითვლება.
 1938 წელს გამოქვეყნდა გიორგი გვა-
 ზავასა და ანი მარსელ პაონის მიერ
 ფრანგულად თარგმნილი „ვეფხის-
 ტყაისანი“, ხოლო 1965 წელს პა-
 რიიზში დაბეჭდა სერგი წულაძის მი-
 ერ თარგმნილი „ვეფხისტყაისანი“,
 რომელსაც როგორც საუკეთესო თარ-
 გმანს, საფრანგეთის აკადემიის ლან-
 გლუას სახელობის პრემია მიენიჭა.

ქართველი ხალხის უცხოელ მეგობ-
 რათა შორის გამოირჩევა სახელები
 და—მა მარჯორი და ოლივერ უორ-
 დროპებისა. ინგლისელმა ქალმა მარ-
 ჯორი უორდროპმა თავისი ცხოვრების
 უმთავრეს მიზნად ქართული ენის
 შესწავლა გაიხადა, რათა ევროპელ
 მკითხველთათვის გაეცნო ქართული
 მწერლობის და ხალხური შემოქმედე-
 ბის საუკეთესო ნიმუშები. მისი აზ-
 რით, ეს იყო ყველაზე საინტერესო
 იმისათვის, რომ უძველესი კულტურ-
 ის მქონე ქართველ ხალხს თავისი
 კუთვნილი ადგილი მოეპოვებინა მსო-
 წლითის ხალხთა ისტორიაში. თავისი
 წამოწყვეტილი სიცოცხლის მანძილზე
 (1869—1909) მარჯორიმ ბევრი რა-
 მის გაკეთება შესძლო. მან ინგლისურ-
 რად თარგმნა და გამოსცა: „ქარ-
 თული ხალხური ზღაპრები“, ილია
 ჭავჭავაძის „განდევილი“, „წმ. ნი-
 ნის ცხოვრება“. მასვე ხელნაწერად
 დარჩა ილიას „მგზავრის წერილე-
 ბის“ თარგმანი და ა. შ. მარჯომ მის
 უმთავრეს შრომათაგან წარმოადგენ-
 და „ვეფხისტყაისის“ ინგლისური
 თარგმანი. თითქმის 18 წელი მონა-
 დობა თარგმანზე მუშაობას. მან ამ
 წლებში ორჯერ იმოგზაურა საქარ-

ქართული მწერლობის ნიმუშებს
 ინგლისურად დიდი სიყვარულით
 თარგმნიდა მარჯორის ძმა, ოლივერი,
 აგრეთვე შესანიშნავი ლიტერატორი.
 იგი თავის დასთან ერთად მუშაობდა
 „წმ. ნინოს ცხოვრების“ ევრიების
 შესწავლაზე და თარგმანზე. მან ინ-
 გლისურად თარგმნა სულხან—საბას
 დიდბეული წიგნი „სიბრძნე—სიჭრუ-
 სას“ და, რაც განსაკუთრებით აღნიშ-
 ვნის ღირსია, ოლივერის თაოსნობი-
 თა და შრომით შესაძლებელი გახდა
 „ვეფხისტყაისის“ ინგლისური თარ-
 გმანის საბოლოო რედაქცია და სას-
 ტყეობის მომზადება. ამ საქმეს მან
 თითქმის სამი წელი მოაწინადა. იგი
 პროფესიით დიპლომატი იყო და
 სხვადასხვა ქვეყნებში უძღვებოდა
 მოგზაურებას, მაგრამ ერთი წუთითაც
 არ შეუწყვეტია პოემის ტექსტზე მუ-
 შაობა. „ვეფხისტყაისის“ უცხო
 ენებზე თარგმნის ისტორიისათვის
 საინტერესო ფაქტია, რომ რუსი პო-
 ეტი კონსტანტინე ბალმონტი „ვეფ-
 ხისტყაისანს“ გაცნო შუა ოქტანში,
 გენევე, ოლივერ უორდროპმა თავის
 ახალ გაცნობილ თანამგზავრს გადას-
 ცა პოემის ინგლისური თარგმანის
 კორექტურები, რომელიც მას სამუ-
 შაოდ თან წაშოლო. თუ რა აღტკნე-
 ნა გამოიწვია „ვეფხისტყაისის“
 პირველმა გაცნობამ, ეს გარდა არის
 ცნობილი ბალმონტის წერილით:
 „შოთა რუსთაველი და დიდი იტალი-
 ულები“. ამ შეხვედრამ შოთა რუს
 პოეტს ეთარგმნა შოთა რუსთაველის
 გენიალური პოემა.

დიდ მუშაობაში, რომელიც გასწია
 ოლივერმა პოემის თარგმანის საბო-
 ლოო რედაქტირების დროს, ტრადი-
 ციისამებრ, მას დიდ დახმარებას უწ-
 ვედნენ ქართველი მოღვაწეები, რომ-
 ელთა შორის, ოლივერისავე სიტყ-
 ვით, ყველაზე უფრო გამოჩენილნი

სვამიანთო. აიღო მენს
 გეპქანს
 დიღება აკსა მენს გეპქანს.
 ააკი



აკად. ნიკო მარი და პროფ. მიხეილ წერეთელი. მათივე დახმარებით შესაძლებელი გახდა წიგნი აღტურველიყო შესანიშნავი მეცნიერული აპარატურით, რაც ძალზე იშვიათია „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებში.

1912 წლის ინგლისურ გამოცემას ერთობ ოლივიერ უორდროის შესავალი წერილი. ოლივიერის ეს შრომა ერთი საკუთესოთაგანია მათ შორის, რაც კი უსუსურ ენაზე გამოქვეყნებულა შოთა რუსთაველსა და მის პოემაზე; კარგად შესრულებულ ლიტერატურულ ანალიზთან ერთად, წერტილის ავტორი ავლენს ქართული სინამდვილის შესანიშნავ ცოდნას. რუსთაველის პოემა აქ განხილულია ფართო თვალთახედვით, მსოფლიოს ლიტერატურულ შედეგებთან შეპირისპირებით. ავტორი ვრცელად საუბრობს რუსთაველის ერთგულ ძირებზე, თავისი დროის ძლიერ ქართულ სახელწოდებზე, რომელიც განსაკუთრებულ როლს თამაშობდა ახლო აღმოსავლეთში. ქრისტიანული ქართული სახელწოდებები, ავტორის აზრით, ერთგვარ შემაერთებელ ხილად გვევ-

„ვეფხისტყაოსნის“ პოეტი პირველად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სწორედ მარჯორი უორდროის ინგლისური თარგმანით გაცემო და, როგორც თვითონ წერს ერთ ადგილას, მისთვის სრულიად უცნობი პოეტურის სამართარ გადაშალა თვალწინ. რუსთაველი მან მსოფლიოს უდიდეს პოეტთა რიგში დააყენა.

ბალმონტის თარგმანი წლების მანძილზე ქვეყნდებოდა ნაწყვეტების სახით, ხოლო მთლიანად იგი პირველად 1933 წელს დაიბეჭდა პარიზში (შემდეგ რამდენჯერმე ჩვენშიც გამოქვეყნდა). კონსტანტინე ბალმონტის შემდეგ რუსულად პოემა ბევრჯერ ითარგმნა (სულ არსებობს ხუთი სრული თარგმანი).

„ვეფხისტყაოსანი“ თარგმნილია აგრეთვე გერმანულ, იტალიურ, ესპანურ, უნგრულ, პოლონურ, ჩიურ, იაპონურ და სხვა ენებზე. იგი საბჭოთა კავშირის ხალხთა თითქმის ყველა ენაზეა თარგმნილი. უანასკნელი ცნობებით, „ვეფხისტყაოსანს“ თავის ენაზე ამჟამად კითხულობს 40-ზე მეტი სხვადასხვა ეროვნების ადამიანი.

„ვეფხისტყაოსნის“ დიდი იდეების სხვადასხვა ხალხებისათვის გაცნობის საქმეში თარგმანები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. მაგალითად, ფრანგული თარგმანით გაცემო პოემა შესანიშნავი ფრანგი პოეტი არაგონი, რომელმაც შემდეგი სიტყვები უძღვნა შოთა რუსთაველსა და „ვეფხისტყაოსანს“: „რუსთაველზე უკეთ სიყვარულისათვის არავის უმღერია, არავის არ აუყვანია სიყვარული ისეთ სიმადღეზე, როგორც ეს რუსთაველმა გააკეთა თავის პოემაში... „ვეფხისტყაოსანი“. შუა საუკუნეების ყველაზე შესანიშნავი ქმნილებაა. დასავლეთ ევროპის იმავე ეპოქის დიდი პოემებისაგან განსხვავებით, იგი თავისუფალი ყოველგვარი მისტიკისაგან და, აღოძინების ეპოქის ქმნილებათა მთავრად, ქრისტიანულ მოძღვრებაზე მაღლა დგას... საქართველომ წარმოშვა თავისი დანტე...“

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორი თანდათან იკავებს კუთვნილ ადგილს მსოფლიოს უდიდესი პოეტების თანავარსკვლავედში.

სარკის სიივილი.


ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

მარგალიტთა ღირთა აგაჟნად
და მოქროდა ჰქროდა
სიფხვამთ მანთა მადკაჟანი.
ამება ჩოვანთ მითთა
მენი ბული მასაკოლი
სიფხაკალით თითოლი.
მითა პირს სიჟალღო.
ღმთაპაკრიპო მითა!

ბალაჟიონი

ლინებოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურების დაახლოების საქმეში.

„ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული ადგილების თარგმანები რუსულად უკვე მე-19 საუკუნეშივე შესრულდა, მაგრამ ყველაზე სერიოზული ნაბიჯი ამ თვალსაზრისით გადადგა რუსმა პოეტმა კონსტანტინე ბალმონტმა.



ჯუსთავაის სსხე პარიზის გსოფნიო გჲოფენაჲ

1900 წელს პარიზში მოეწყო საერთაშორისო გამოფენა, რომელმაც საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო და, მწერალი თედო სახაკიას სიტყვებით რომ ვთქვათ „მთელი მსოფლიო მოიცვა“.

ამ დღიმა წამოყვებაჲ ქართველებსაც აღუძრა სურვილი გამოხაურობოდნენ მას და თავიანთი წვლილი შეეტანათ „დიდი სახალხო კულტურის“ საქმეში.

ჩვენი გამოჩენილი მოღვაწენი, დიდი ილიას მეთაურობით, ქართველ საზოგადოებრიობას აცნობდნენ პარიზის გამოფენის მნიშვნელობას და ურჩევდნენ ჩვენს ხალხს მონაწილეობა მიეღო „მსოფლიო ფორუმში“.

პარიზიდან გამოგზავნილ თავის ერთ-ერთ წერილში, რომელიც გამოქვეყნდა ვაჟეთ „ივერიის“ ფურცლებზე, პროფ. ალ. ხახანაშვილი წერდა: „ქართველ მკითხველს მოეხსენება, რომ წელს პარიზის მსოფლიო გამოფენაში პირველად მიიღო მონაწილეობა ქართველმა საზოგადოებამაც და, რასაკვირველია, სანტერესოა, რამდენად და როგორ განხორციელდა ეს პირველი ჩვენი გამოსვლა მსოფლიო სამრეწველო სცენაზედ. გავისხენებთ ჭერ მოკლედ ისტორიას ამ ახალი საქმისას ჩვენში. როცა ოფიციალურად გამოცხადდა, რომ პარიზში 1900 წ. იმართება მსოფლიო გამოფენა, ჩვენი თავდაზნაურობის ერთმა წევრმა, წარმომადგენელმა უძველესის გვარისამ საქართველოში, ბ-ნ რაფიელ პეტრეს მე ისარლიშვილმა ითავა და, როგორც ვაჟეთის საშუალებით, აგრეთვე ცალკე ნაბეჭდის მოწოდებით განმარტა, რა მნიშვნელობა ექნებოდა ჩვენი ერისათვის ამ გამოფენაში ჭეროვან მონაწილეობის მიღებას.

საქიროება, ამგვარად, ქართველთა სახელის გამოქვეყნებისა შეგნებულ იქნა ბ-ნ ისარლიშვილის თაოსნობით.“

ალ. ხახანაშვილმა, აძლევდა რა დიდ მნიშვნელობას პარიზის სახალხო ფორუმში ქართველთა მონაწილეობას, სადაგებოდ დაწერა ორიგინალური წიგნი „საქართველოს ისტორია“, რომელიც ვაჟეთმა უცხო მკითხველებს ქართველი ერის გმირულ წარსულს, ბრწყინვალე კულტურას, ჩვენს ეროვნულ სამკაცს — შოთა რუსთაველს და მის უკვდავ „ვეფხისტყაოსანს“.

ეს წიგნი რუსული ენიდან ფრანგულად თარგმნა ქართული კულტურის დიდმა მოამაგემ, ვაჟეთ „ივერიის“ თანამშრომელმა რაფიელ პეტრეს ძე ისარლიშვილმა. მანვე შეავსო წიგნი ისტორიული წყაროებით, დამატებებით, დაურთო კომენტარები, ჩაურთო პარიზში დამზადებული ილუსტრაციები და პარიზშივე გამოსცა ძვირფას წიგნად.

„ქართველთა მატინემ“ (სხე უწოდებდნენ ალ. ხახანაშვილის წიგნს) გამოფენის მნახველებს სხვა ბევრ რამესთან ერთად, ვაჟეთ შოთა რუსთაველი და მისი უკვდავ „ვეფხისტყაოსანი“.

წიგნმა მიუთითა უცხოელ მკითხველს პოემის უკვდავებზე, მის გენიალობაზე და მოუხარო შ. რუსთაველის ბიოგრაფია, ნაშრომები დახასიათებულა პოემის მთავარი გმირები, სადაც ტარიელი შედარებულია ვაჟეთთან და პამლეტთან. ამ ორიგინალური ლიტერატურული პარალელებით უცხოელები დიდად დინტერესდნენ და შეუდგნენ რუსთაველის პოემის კითხვას.

ამავე წიგნის მეშვეობით მკითხველისათვის ცნობილი გახდა პოემის თარგმანების არსებობა ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, პოლონურ, რუსულ, სომხურ და სხვა ენებზე.

„საქართველოს ისტორიაში“ ჩართულ ილუსტრაციებს შორის გამოირჩევა დიდი შოთას პორტრეტი.

პორტრეტის ავტორია ცნობილი მხატვარი ბუროვი, რომელიც მოხიბულა შ. რუსთაველის შემოქმედებით, გულდასმით შეუსწავლია წყაროები, ილუსტრაციები, კლდექობი და თავის ნახვალში ორიგინალური მხატვრული კლორითი ჩაუჭისოვია.



ბურთვის შიგრ დახატულთა შოთა წარმოადგენილია ტრადიციული პორტრეტის მხგავსად (შ. რუსთაველის საუკუნედად ცნობილი ტრადიციული პორტრეტი მე-17 საუკუნის ზელნაწერი „ვეფხისტყაოსნის“ დანართი-სურათიდან არის გადმოღებული) და გამოხატულია საშუალო საუკუნეების ქართულ დიდებულთა ტანსაცმელში. თავზე მზურავს შავი ფერის ძაბრა არაღჩინა, შემოსილია ძაღშემოვლებული მწვანე კაბით, აკრავს წითელი სარტყელი, ტანზე მოხმებული აქვს მოყავისფრო ხირდა — სახერსაკყო თეთრი სამხრით. მკანსინ ზის და წერს ლექსს.

ქართულმა გამოფენამ პარიზში, მრავალი მნახველის გარდა, ფოციალური სტუმრების ყურადღებაც მიიპყრო ამის შესახებ „იერიკა“ (1900 წ. № 161) წერდა: „ამ ჩვენს განყოფილებას ათვალერებენ, გარდა საზოგადო მომხვედლისა, უმაღლესი კაცინო, მინისტრები, მეცნიერნი, თვით პრეზიდენტი ლუბეც ბრძანდებოდა.

მნი ისარწმინდი უხვდება ამათ და შეგნებულს ცნობებს აძლებს ჩვენს ქვეყანაზე“.

უცხოელ მნახველებს შორის გამოფენა დათვალერა ცნობილმა კოლექციონერმა, ნუშიზმატმა, მხატვარმა გუსტავ ფოტმა. იგი ინტერესით გაეცნო გამოფენაზე ექსპონირებულ „საქართველოს ისტორიას“, ე. ქართველიწიფილისეულ დასურათებულ „ვეფხისტყაოსანს“ და სხვა საგამოფენო მხახლებს.

კოლექციონერი დიდ შოთას და მის პრემას-ცინობდა თავის კოლექციკაში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ ეგზემპლარებით, ევგენი ბოლხოვიტინოვის (1802 წ.), იაკობ ლანგენის (1805 წ.), ეარკი დე მანსის (1832 წ.) და სხვათა ცნობილი ნაშრომების მიხედვით. უყოფლი ახალი ცნობა, მხატვრობა თუ ილუსტრაციები რუსთაველსა და მის პირეამე ამ კოლექციონერის ცხოვლ ინტერესის იწვევდა, ამიტომ ფოტბს გაუგზავნია ბარათი Paris, Rue des Ecoles-ში (პარიზში) მოწყობილი დროებითი ბიურო, რომელსაც გამოფენის შესახებ პირადად ან წერილობით მიმართავდნენ ხოლმე მსურველნი) და რ. ისარწიფილისასგან მოუთხოვია ცნობები ჩვენს სასიქადულო მკლასზე, გაუზიარებია თავისი აზრი: განზრახული მაქვს დავხატო შოთას ფერადი პორტრეტო. საფრანგეთში მცხოვრები ქართველების დახმარებით გ. ფოტბმა პარიზში დახატა შოთას პორტრეტი, მას ქართულად დააწერა „სულმწათო შოთა — ვეფხისტყაოსნის“ დამწერი“ და დამწენა დაფინს გამოსახულებით.


შოთას ფოტბისეულ პორტრეტზე ქართულ წარწერას სიბტერესო ისტორია აქვს: მხატვარმა ქართული ეს არ იცოდა და პორტრეტზე ქართული აზრის მისაწერად მიმართა რ. ისარწიფილს, რათა გაეცნო მისთვის ქართული ანბანი და აეწყო სიტყვები.

რ. ისარწიფილმა მხატვარი დაუახლოვო თედო სახოკიას — ქართული ექსპოზიკის რეფერენტს.

სახოკიამ და ისარწიფილმა შეამჯადებინეს წარწერის ქრავა, ააწყვეს ტექსტი და გადასცეს ფოტბს. მას ჩვენი ჩუქურთმა-ასლები მოეწონა და შეუდგა წარწერის გამოყვანას.

ქართული წარწერის უტყოურ ნებზე თარგმანები მხატვარმა მიაწერა პორტრეტის გასწვრივ მოვარაყებულ ფიოფიტებს.

შოთას ფოტბისეული პორტრეტი გამოფინს პარიზში, ტროკადეროზე — კავკასიის გამოფენის დარბაზში, რომლის დიდი სვეტები, გადატანილი თადებით, აგებუ-



ლი ძველი ქართული ბუროთმოდებების ყიდაზე, დიდებულად გამოიყურებოდა და რუსთაველის დროინდელ დარბაზებს გვგავნებდა.

გამოფენის დამოვალიერებლები იძენდნენ „ვეფხისტყაოსნის“ ზიჩისეულ ილუსტრაციებს, სუენირებს, მკლანის ტრადიციული პორტრეტის ანაბეღებს, ბუროვისეული პორტრეტის ასლებს და სხვ.


შოთას ფოტბისეული პორტრეტის შექენას ბევრმა ცდილობდნენ. ბოლოს კომერსანტმა ბორას სელომა შეისყიდა იგი და თან წაიღო სტამბოლში.

პარიზში გამოფენისათვის განყოფილმა წიგნმა — აღ-ხახანავსილის „საქართველოს ისტორიამ“, რომელშიც ჩართული იყო შოთას პორტრეტი, თავის მიზანს მიაღწია. იგი ევროპაში საკმაოდ გახმაურდა და უცხოელი მკითხველის აღიარება მპოვა. საქართველოს კულტურით დაინტერესებულმა უცხოელები იძენდნენ ამ წიგნის ეგზემპლარებს და მრავალსა წერილებს უგზავნიდნენ გამოცემელებს. ამ ფაქტის შესახებ უფრნალი „მოგზაურო“ წერდა: „ძლიერი ევგრმა უმაღლესმა პირებმა და ნსწაველმა კაცებმა წაიკითხეს იგი (ე. ი., საქართველოს ისტორია“... თ. ჭ.) და საქართველოც გაიცნეს საქმარისად“.

ამ ძვირფასი წიგნის ეგზემპლარი, სამახსოვრო წარწერით, რ. ისარწიფილმა პარიზიდან ძძენად გამოუგზავნა დიდ ილიას, რომელმაც ნაშრომი, კერძოდ — შოთას პორტრეტი, მოიწონა და თავის ბიბლიოთეკაში შეინახა.

უფრო გვიან ეს წიგნი კოტე მარჯანიწიფილისასგან ძძენად მიუღოა დიდ რეისორს კ. სტანისლავსის.

ლემონადო ჯუღაბაშვილი.



საბჭოთა საქართველო

მეცხრე!

ლევან
გიორჯა

მაგარი
კავას ცუცქერიძე

„წამთარ და ზახულ სწორად გვაქვს ყვაველი ფერად-ფერები“.
შოთა.

ლიდი ძალა მესხიერება, მით უფრო ახალგაზრდული, შთაბეჭდილი... მით უმეტეს თუ კალამიც კეთილად გიჭრის.

...და ახლა, როდესაც წელთა სიმრავლე შეუძრველად შემომგზავნა, ერთი კალმის მოსმით სრული ოცი წელი მხრებიდან ძველი ნაბადივით გადავიგდე და აი,—ისე მოგზაური ვარ, თბახუშუპა და გატაცებული, მე-ოცნებე და დაულაღია.

ახუნუნდი, ფუტკარი, შშობლიურ მდგომარეობა გადავიკე, — რამდენი დათაფლული ყვავილი!

ამჯერად ჩანთაში „ვეფხისტყაოსანი“ ჩავიდე და მთელი სამცხე ფხით მოვიარე, მოვიცხვარულე.

თმოვზე, მტკვრიდან — ციხემდე, გვირბა-გვირბა ავიდი.

ვარძის ყოველ ქვაბში „ვეფხისტყაოსნის“ თითო ტაბი ჩავიკითხე. ავთანდილის როცასთან ზეპასთავალაყვი ამერია, და ვკონებ, დღეთა რიგში.

ლამე თამარის ქვაბ-პალატების ზღურბლთან ვათიე: მთელი ლამე კლდე ფუტკარივით ზუზუნებდა — თითქოს ტარიელის ამბავს ჰკვებოდან! ხერთვისთან, ჭერი მტკვარში ვიბანავე, დედა-მღისარის ბროლის პერანგი აბჯრად ჩავიკვი და უშლულს კოშკში შევიხივინე ჩაღვდექი. რამდენი ყვეფ-ყორანი და ქორი ჰადმოფრინდა — „ვეფხისტყაოსნის“ ტაბი ვტკვრუნე ისრად!

ასპინძის ნაბრძოლვე ადგილებს დავუარე. ფუტკარის ზუზუნითა და ყაყაჩოების სიმრავლით ვიცანი. იმ-

დენი ვიტრიალე, რომ მხარი მეცვალა... მაინც, მზე რომ ჩაიშალა და მრავალ ჩრდილი წამომეტოტა.

აინუნშიაც არ ჩავადე. აქ ყველგან საქართველო იყო და მისი რუკა გულზე მიხატა. საიდაც დამიღამდა — იქვე მიეწევი... ახლოვე ტროტოლას ბუდე დამხვდა. მთელი ლამე ბარტყების ელერტული მესმოდა.

პურის ნატეხი გამაჩნდა, „ვეფხისტყაოსანიც“ გადავშალე და ვიდრე ასოებს ვარჩევდი, ლექსითა და პური იოლად ვავლე... მერმე მალა ქვაზე ასევე გამშოლად შემეგოდე და დავიძინე.

დილას „ვეფხისტყაოსანზე“ ტოროლა იჯდა, ნამცეკვებს კენკავდა. თვალი რომ გაუახილე, შოთას სტრიქონივით ავალობდა და პირდაპირ მზეზე გაფრინდა. ახლა ფუტკარები აზუზუნდნენ წიგნის ირგვლივ... და თითქოს ასპინძის მიწაზე ჩუმგაუგუნა ბანს მათ აძლევდა.

სათიაც გულში გამიწია, იქით წავედი.

ბაღებში ჩაფლულ სოფელს მივადექი. ფხვისწველა ქალიშვილები ხეზე მოლაღურებოვით ისხდნენ და ჭერი ნაშუშუმშრალი თუთას არხივდნენ.

პირდაპირ გობით დამიდგეს. აბა გენახათ ცეროდნა და უტკბილუსი... დევხარბე; ყური არ ვათხოვე გოგონების გერდაფარულ სიცილს.

ქარაგა რომ ამოვითეთე, მერმე ვიკითხე:

— რა დღეა? რა სოფელია? ძველი თუ ახალი მოსახლენი ხართ? საქართველოს რომელ კუთხიდან მოხვე-

დით ამ დათაფლულ თუთიანში? ქალიშვილებს უფრო შესცდათ სიცილი...

— ასე დადინართ სოფელ-სოფელ? დაეძებთ ვისმე? თუ მოსაკრეფი გაქვთ რამე? — უკვე დაუფარავდი, ერთობლივ აკასკასდნ და ახალი, თუთით სავსე ვიბი დამომიჩიხეს.

— ასე დავდივარ... ძველსა და ახალ საქართველოს ვკრეფავ; თუთის მოლაღურებში! თქვენც კი, რა ვაკი-ნებთ?

— ისა რომა... ჩვენს თუთა ათრობს... ძველსა და ახალს ვედარ არჩევინებს! — ახლა ღილი ღარტაფის გაღმა მთაზე მიმითითეს, — დღეს აქ კვირაა, ალბათ იქაც ავრე იქნება მთას გადავილი, ჰოდა, იქ რომ ღილი თუთაა, გუმბათივით, სოფლის განაპირას მდგარი... იმ თუთის ძირში კაცი დავხვდებო... ამბავი იმასა ჰკითხე, ის ყველაფერში გაავარკვევს, თუ მიმხედური ხარ!

— რა სოფელია, რა კაცი?... ხომ არ მახლაბრბობ?

— არა, თუთის მადლმა ჩვენს სოფელს იღუმელა ჰქვია, იმ სოფლისას კი თავად ფუტკარა გეტყვის, ჩვენ სიცილი გვიშლის ლაპარაკს!

...და ყველანი თუთის ლანდებივით გაქვრინე... სანიშნოდ თუთიანში კიდევ კარგა ხანს მათი კასკია კითხოდა.

მგერი ვიარე თუ ცოტა ვიარე, იმ სოფლამდე მივადექი. პირდაპირ დიდგუმბათა თუთას მივადექი. ყორეს იქით მწვანე ჩრდილი იდგა. მზე შიგაღამოვ მაინც კურდღლაობდა. პაერი თუთის სურნელითა და ფუტკარის ზუზუნით იყო შეერგებულნი. თუთის გამოკოქრილ ძირზე წვერკეთილი მსოცვანი იჯდა და როცასს ნეწვით თოლდა. თან ათქვის შემოსეულ ფუტკარებს ესაუბრებოდა.

ეს თუ ფუტკარა? ყორეზე გადახვტი და გამაჩრბა ვუთხარი.

— არა მითხრა რა. თავზე წვაღდექი, მაგრამ აირე ჩემი ჩრდილი არ დევა — ვიდრე მოუხედავს. მერმე თავი ასწია, დაღარულ სხე დაამახანა და ფუტკარის ზუზუნა ხმით მითხრა:

— ველო, თუ რამე მითხარი... პასუხს ნდელი ჩემგან — ორთავ ყური დამდეგო ვარ! ზუზუნის მერე არაფერი მესმის!

მეც ფუტკარები შემომხვევიდნენ და ზუზუნით ყური წაიდეს. მოხუცმა შეამჩნია:

— მგავარი რამე ჩანხარ... დინჯად

მოიქეცი, ფუტკრები არ გამიჯავროს!
ნურც გეშინია — თუთობას ფუტკარიც
დამტყდარია, ჰაიპარად არ იტი-
ნება... თუ მოუსმინე და გულსისუ-
რიც ააუწყე — „ვეფხისტყაოსანსაც“
გიხუზუნებენ...

სახეზე, შიშველ მკლავებზე, ყურის
ბიბილოებზე ფუტკრები მაცოცხლდ-
ნენ, მაგრამ მეც თუთის ხესვით უძ-
რავად დავდექე... და მართლაც, მალე
დაგოწმუნდი — ფუტკრის ზუზუნი
ყველაზე უფრო ჰგავს შორიდან მოს-
მენილ ხალხის ლაპარაკს!

— კი მაგრამ, რატომ მინცლდამინც
„ვეფხისტყაოსანს“? — ყბაშეურხვე-
ლად ვკითხე. მერმე მომავიწყდა, რომ
ძასუხს ტყუილად ველი. თუმცა აქაც
მოვტყუვდი.

— თუთა მიირთვი, რუსთავის თუ-
თაა — საბაქმზაო!

ფუტკრები დამივიწყდა და შეე-
ტორტმანდი. მაშ რუსთავში ვარ, გზა-
ანბნულად და ულოდნულად აღმოჩე-
ნილი თავფლად და ბაქმზად მომედო
ეს „დაბნევა“ და ამიტაცა.

ფუტკარა კი განაგრობდა თავის
ცილოზუზუნს, პასუხიულზე ბაასს...

— ჩადი წყაროსთან, მთელი სო-
ფელი იქაა... ძველი და ახალი მოსახ-
ლეობა! ნათუთარია ხალხი — ლხი-
ნილი შენც გაიხარე, მგზავრე კეთი-
ლო... შენი სიტყვაც უთხარი ესეც
დაგპირდება გზაში და, საერთოდ,
ცხოვრებაში, — ახალგათილი კოვ-
ზი მომაწოდა და გზაც მიმიჩვენა.

ახლდა შევამჩნიე, რომ ფუტკარა
ხის კოვზებს თლიდა.

გაცივრებებით გამოვართვი. მად-
ლობაც ხმააღლად გადავუხადე. ალ-
ბათ მიხვდა:

— ერთსაც გეტყვი — კაცმა ისეთი
მგზავრული ახალგაზრდობა უნდა გა-
ატარო, რომ მერმე მთელი სიცოც-
ხლის მანძილზე გეყოს სიბერის საე-
ზლადი!

კაცმა კვირიონები ნავარდობდნენ...
ხიდან ცვივოდა მწიფე თუთა... მო-
ხუცი კი თავისა, და იქნებ თავის-
თვის, უნებრდა:

— ახლა მე აქ თუთის ძირში ვზი-
ვარ, სიფლისათვის კოვზებსა ვთლი
და სულ კი ვმოგზავურობ... ახალგაზ-
რდობის დროინდელ ხილეშვიში ვარ!

ისევ თავი ჩაღვინა და თლა განავრ-
ძო... ჯერ გამოუხვეწი კოვზებიც
ბლომად ჰქონდა. ამ კოვზით ბერი-
კაცმა ისეთი ჩინვალი მომღო — აბა
რალას მოვეშვებოდა.

— ეს კოვზი რააა? — ახლა მე



სულ ახლოს მივიძი, ფუტკრების შე-
მოსევის გამო, დინჯად დავიხარე და
თუთის ფესვებს ნაჩუქარი კოვზი მი-
მუქაუწე.

ისევ ჩემმა ჩრილობა მისაშველა.
ფუტკარა კვლავ შემობრუნდა...

— არ წასულხარი? კეთილი, ვერ-
ორს კოვზისასაც გეტყვი — უბეში
ჩაიდეს მესს კი არ მოცემე... ვაიც
არც ორკოვზიანი ვარგა, არც ორბი-
რი, არც ორ სკამზე მჯდომი! ქვეყნად
შენი წილი მულამ მოიპოვება, მაგრამ
სადაც მდლი არ დაგეთესია, შენს
კოვზს ნუ გამოაჩენ... სადაც დასთვის,
კოვზი თავად გულის კოვზზე მოგიკა-
ქუნებს.

მუხლსოსთავებიდან წვრილხვეწელა

ბურბუშელა ხელდინჯად გადაიშორა,
წვგრში ჩახლართული ფუტკარი გა-
ათავისუფლა, ხელისგულზე, თით-
ქოს მოწმედ, დაისვა და სულ ჩუმად
მოიხრა:

— კოვზი — სიტყვაზე — ანდაზაა,
— რაც არ გერგება — არც შეგერგე-
ბა! თავად კი ყველგან თითო კოვზი
სიციფე უნდა სთესოს... მაშინაც კი,
როდესაც თუთა დასეტყვილია... ან
ჯერ არ არის მწიფე!

თვალეები ჩაუქრა, გადათოვლილი
თავი ჩაჰხარა, ისევ კოვზის თლასა და
ახალგაზრდობის დღეთა ხილვას მი-
უბრუნდა.

კოვზი უბეში ჩავიდე და ისე წავე-



ლი — ფუტკარასათვის ზურგი არ მი-
ჩვევია.

ღარდღულუ ყორებს შორის ჯერ
ფუტკარის ზუზუნს და მოლოღურების
სტყვეს მიმკვებობდა. მერმე წინიდან
შემომესმა ხმა... ისიც ზუზუნს ჰგავ-
და.

წყაროსთან მართლაც მთელი რუს-
თავი მიმდგარიყო... დიდ-პატარა-
წყაროსთავეზე აკვანი იდგა. შიგ ძუ-
ძეთა ბავშვი იყო ჩაყრული. ირგე-
ლევი კი — ერთობლივი ყაყანი, — ხან
მიამფრი სიტყვა, ხან სიცილ-გნისი
იღდა.

— რა ამბავია, ხალხნო?! — შეეძა-
ხე და წყაროს წვადდექი.

უცრად ყველა დაჩუმდა. მკაფიოდ
გისისა წყაროს ჩხრიალი. მერმე ბავ-
შევი ატირდა აკვანში. ზედაც ერთი
ხმა-რიხინი დედაცაი წამოფაშაშა-
და...

— სიკეთისა გვცირს! შენ ვიშვე-
ლა ლმერთმა! შენი ფეხი ბედნიერი!
— და ისევ ხალხს მიუბრუნდა, — ეს
გავვაშველებს ნამდვილად... თორემ
სოფლის ყაყანში ბავშვიც დაგეცი-
ხა და ფლავიც დაგვეწვა!

— ჯერ გამარკვიეთ, — თქვი და
ისევ ახმინადა სოფელი...

— სახელი სახელი!

ჩემი სახელი აქ აშკარად — არაფერ
შუაში იყო... ერთი წიგნიანი გოგონა
შევიამჩნე, ჩანს მოწაფე იყო... ხელი
დაეშუნიე...

— აბა, თქვენი მოსწავლეც ვნა-
ხით... მოკლედ ამხსენი! — მიზეზი
თქვენი ქრამულისა!
სხარტად ამხსნა:

— სახელს ვურჩევთ აკვანს მოქა-
ლაქეს! მამის მხრივ სულ ახალმოსახ-
ლენი — ონელები არიან, დედის
მხრივ კი ძველმოსახლენი... ჰოდა,
დავა შეიქმნა მოყვრებს შორის... ახ-
ლა მთელი სოფელი წამოღდა ნათ-
ლიად!

— დამისახელით მამის მხრივ... —
გამოცდილ ბჭენსავით მოვიხთოვე.
— ქვე დაერქმევ ამბროლას!
— ახლა, დედის ნათესაებებო?!
— ვეფხვიან... ან ლომსაი!
— სოფელი რაღას ირჩევს?

ისევ აზუზუნდა სოფელი, რჩელ-
სახელები აახმინეს... ხან რაჭულად
და ხან მესხურად მოქცეული...

— აბდაი... ზურიკუნა... ამირან,
ჯუმბერ... გოჩაი, ქუჭი... ლომკაცუ-
ნა... ბოცოი...

დაჩხუტულ თუთასავით ცვივოდა
სახელთსირაგლე...

— კარგა შეგირჩევიათ, რუსთა-
ველსო! არც ერთი არ გააცდინოთ!
მაგრამ ახლა მე სულ სხვის გორჩევთ,
— ეს წყარო შოთა რუსთაველს უს-
ვამს! დაე აქ განათლად — შოთა
იყოს! ისიც — შოთა და ისიც —
რუსთაველან!

— იყოს! — ერთხმად სტეპა სო-
ფელმა.

— მე საჩუქარიც მომობთმეგია! —
ხელი ჩანთაზე გაეიკარ და „ვეფხის-
ტყალასანი“ ბავშვს აკვანში ხატივით
ჩაეღდე.

— აქი გითხარით, დავარიგებს-
მეთქი!.. შოთა მაშა!.. აბა, ვინ არის
წინააღმდეგი? წყაროსთან წამოღ-
ქით! — რიხი მოიცა ფაშვანმა დედ-
აცმა.

— არავინ არავინ! შოთა! შოთა!

— გუგუნებდა სოფელი...
...მაგრამ ახლა ქალებსა და მწიკე-
ციებს შორის შეიქნა დავა და აკვანს
გაწვეკ-გამოწვევა. პირველად ბიჭის
მამა წამოვიარდა:

— ეს თუ შოთას წყაროა — ჩემი
შოთა-ბიჭუნაც შეგ უნდა ვაბანავო!
ვაჭუჭუშალოვო! მაგის კირიმე!..

ახლნა ხარხარი შექნა, დედა-ქა-
ლები კი აკვილდნენ... აკვანს გადაე-
ფარნენ.

ისევ მე ჩავერიე, ჩემი გაფუჭებუ-
ლი საქმე გამოვასწორე...

— რუსთაველსო! რა ყველაფერზე
დლობთ? თქვენი თუთა მართლა ხომ
არ ათრობს?!

ისევ ყველა გაჩუმდა. პასუხი არა-
ვინ გამცა. ისევ წყარო ჩხრიალებდა..





საბჭოთაო ქვეყანა

ფუტკრის ზუზუნიც ისმოდა. მერმე ზუზუნა ხმავე მკაფიოდ გაისმა...

— ერთიანი წესი ვერ დავადა და ვერა სოფელს კი წესი უნდა ქირში-ადა და ღმირშიაქ!

შემომბრუნდი. ჩემს უკან ფუტკარი იდგა და თითქოს ახლაც ფუტკარი გარს ენეოდა. ხელში ახალგათილი იყო კოვზები ეჭირა. დახვ, მკაფიოდ ვივრებინე: ნახუქარი კოვზი გულსი კოვზზე მიაკაუნებდა.

— ისევ მე გაგაშველებთ! — უნდა ბურად წამოვიძახე, წყაროსთან მივედი, უბიდან კოვზი ამოვიღე, წყაროში ამოვბანე, ერთი კოვზი წყალი ავეანში ბავშვს ვასვი და კისერზედაც გადავიღებე.

— ავაშნოს ღმერთმა! აი, კოვზიანი ნთლიაც ეგ ყოფილა! — წამოიხა და ბიჭუნას მიმამ და ქალბეს დასაქვიდა:

— აბა, ახალ-ვენახის ღვინო, თუთის არაყი... ფლაგვიც და ლობიანებიც! აქაც და სახლშიც! შინ შიღის შოთას!

წყაროს ღმირმა მალე ოჯახმა გადაინაცლა. მე საპატო სტუმარი ვიყავი. ფუტკარი კი რუსთავის უბუცესი და ძუძუთა შოთას პეპერა გამოვადე დედის მხრიდან.

იმ დღეს, ფუტკრისაგული კოვზით, ფლაგვიც ბლომად გვბან, თაფლიცა და თუთის ბაქმანიც ძველებური ჰინქილით სამცხის ცოლიაჟურცა და რქაწითელიც დავაყოლე.

„ვეფხისტყაოსანიც“ ბევრი მაქოტხეს. ხმას მაყოლებდნენ და ერთობლივ ფუტკრის ზუზუნებით ვამოდიოდა. თუთის ავეანში ტბილად ეძინა ძუძუთა შოთას.

მზე ჯერ ჩასული არ იყო, რომ ოჯახი დავლოცე და გზას გავუღებე. სოფლიდან ღმირის ხმავე ფუტკრის ზუზუნად გამეყვა.

ღიღ თუთის ძირში პეპერა იჯდა და სიკეთის კოვზებს ღლიდა. შოთას წყაროს ავაზანში ბავშვები ჰყუამა-ლაობდნენ.

მეც დავეწაფე შოთას წყაროს, მარაგანადა შევსვი და გზას გავუღებე გულსი კოვზთან სიკეთის უძლეველობის რქმენად მიკაუნებდა სახუქარი. გზას არ ვარჩევდი. აქ ყველგან საქართველო იყო და მისი რუკა გულზე მებატა.


...ახუზუნდი, ფუტკარი, მშობლიური მდელივებს გადავვიცე, — რამდენი დათავებული ყვევილია!

როგორც ვთქვით, „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ვაჟკაცობა და ძალა, რომელიც ბრძოლებში იჩენს თავს, გაზრადებულა, მაგრამ ზღაბრული არ არის. ასევე გაზრადებულა, მაგრამ ამბავ დროს, დამაჯერებელი, შესაძლებელი, არაზღაბრულია გმირთა ყველა დანართი ღირსებებზე: პოეტი ი დ ე ა ლ უ რ, ე. ი. უჩალო, ადამიანის ყველა ღირსებით დაჯადოებულ კაცებას და ქალბეს ვერსტანს. მაგრამ ეს ქალბენი და კაცენი, ამავე დროს, ცოცხალი, ნამდვილი ადამიანები არიან.

„ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირები — აეთანდლი, ტარიელი, ფრიდონი, როსტევეანი, თინათინი, ნესტანი — სრულყოფილი არიან: მათზე უკეთესი ადამიანი, ავტორის თვალსაზრისით, არ არსებობს და არ შეიძლება არსებობდეს. როგორც მებრძოლები, ტარიელი, ფრიდონი და აეთანდლი, ყველა სხვა მებრძოლს სჯობია; სილამაზით „ვეფხისტყაოსნის“ მთავარ გმირებს ვერცერთი სხვა ადამიანი ვერ შეედრება; მათი სიბრძნე უნაკლება, მათი საქციელი მხოლოდ კეთილშობილური, მაღალმორალური მოქმედებისგან შედგება; ასეთი უნაკლო ადამიანები ქვეყნად იშვიათად თუ მოიპოვებიან. მკითხველთა უმრავლესობას, ალბათ, ასეთი ადამიანები თავის ცხოვრებაში თითქმის არ შეხვედრია. „ვეფხისტყაოსნის“ მთავარ პერსონაჟთა გამოწვევითა, მათ განსაკავებას ჩვეულებრივი ადამიანებისაგან ისიც აღვივრებს, რომ მათს დახასიათებანი რუსთაველი უხვად შემართოს: მ ი ვ ე რ ბ ა ლ ა ა ნ უ გაზრადებულა. თუ მისი გმირი ლამაზია, ეს სილამაზე მწათობა სილამაზეც ტოლობა, თუ იგი ძლიერია, მისი ხმა ლომისას ჰგავს, თუ იგი ტრისი, მისი ცრემლი მდინარედ მიედის და ზღვად დგება, ეს ცრემლი სისხლით არის ნაღები და სისხლითაფრია. გმირი ქალის წითელი ტურები ლალს ედრება, ლოყები — ფრადს, თეთრი კანი — ბროლს, ხოლო შავი თმა — ყორნის ფრთას. ამ პოეტური სახეებით რუსთაველის გმირებს ისეთი თვისებები მიეწერება, რომელიც სინამდვილის მაინცდამაინც არ ჰგავს: სინამდვილეში ხომ აუცილებელი არაა, თუ კაცი გმირია, იგი ღმრზე ძლიერი იყოს; თუ ადამიანი წუხს, არაა სავალდებულო, რომ ეს წუხილი სისხლის ცრემლებში გამოიხატოს, შეიძლება ადამიანი ლამაზი იყოს, მაგრამ მწეს არ ჰგავდეს და ა. შ.

მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, მიუხედავად სრულყოფილებისა და გრძნობების უსაზღვრო სიდიდისა, პოემის იდეალური გმირები მაინც საუბრით რეალისტური ლიტერატურული სახეები არიან. რაკომე მიიტკომ, რომ მათი გრძნობები ნამდვილი ადამიანური გრძნობებია. წინააღმდეგობები, რომლებშიც ისინი ვარდებიან ცხოვრების გზაზე, ის წინააღმდეგობებია, რომელიც ადამიანს მართლაც ელოდება ცხოვრებაში. მათი კონფლიქტები ნამდვილი ადამიანური კონფლიქტებია; მათი განცდლები ცვალებადობა — ერთი გრძნობის შეცვლა მეორით, გრძნობის გაძლიერება და შესუსტება, იმედი და უიმედობა, ღმირი და სასოწარკვეთილება, — ყველაფერი ეს ისეთია, და იმგვარად არის დახატული, როგორც ეს ადამიანს მართლაც სწევია ცხოვრებაში.

გმირის განცდლების ეს ნამდვილობა, ცხოვრებისყოფლობა, დამაჯერებლობა პოეტის მიერ დახატულ ლიტერატურულ სახეს ცოცხალ ადამიანად აქცევს. ხოლო, რადგან ტარიელის,



შოთა რუსთაველი იგივე საქართველომ და საქართველო იგივე „ვეფხისტყაოსანი“. ასე რომ არ იყოს. საქართველს ხოცა ასეთი სიყვარულიმ არ ეძინებოდა შოთაში... ამ იღირ სიყვარულის მოსხაჯა კი მხოლოდ დიდს აღამიანს, გენიოსს შუაქლია, რომელიმე ლპიძი შვირია თავისი პიჩსა. მისი სურის. სისხრის და ხასიათის ნაგმომადგენელია. რომელიმე მთად არის. მის პაღვარად ავადიღებებს. რომოც შოკუსში. მოუპირა თაპი.

პაპე



ავთანდილის, ფრიდონის, თინათინის, ნესტანის სახეები ცოცხალი სახეებია, ეს აძიულებს მკითხველს ირწმუნოს მათი ყველა სტევა თვისებების ნამდვილობაც — დაიჯეროს, რომ ადამიანი მართლაც შეიძლება აყოს მზესავით ღამაში, ღამით, ღამით, კეთილშობილი, მზენი, ბრძენი და ქველი, — ერთსა და იმავე დროს. გმირთა ღმინისა და ჭირის ბუნებრივობა შეითხველს აყვარებს პოემის გმირებს, ხოლო მათი სრულყოფილება აღტაცებას იწვევს. მკითხველი უმეგობრდება ნაწარმოების გმირს და ცდილობს მისი მსგავსი გახდეს. პოემა მკითხველს მორალურად აზღაურებს.

ტარიელს, მაგალითად, ნაკლი არა აქვს, მისთვის ბუნებას ყველაფერი მოუცია, რის მოცემაც კი ძალუძს, და ბუნებას ყველა სიკეთე მისთვის გაუმეტებია. ტარიელი გმირია, ღმირი, მშვენიერია, ბრძენია, ტახტის მემკვიდრეა. მისი ცხოვრება გაუთავებელი ღმინისა და გამამრავლებლისაგან შედგება.

მოსრინს* მუხენი და ნადირნი ისარმან ჩემგან სრულმან
(ნ ა ს რ ო ლ მ ა),
მერმე ვიბურთი მოედანს, მინდორთი შემოქცეულმან
(მ ი ნ დ ვ რ ი დ ა ნ და ბ რ უ ნ ე ბ უ ლ მ ა),
შევიდი, შევექმნი ნადირნი, ნიადღე ღმინსა ჩვეულმან.

ამავე დროს ტარიელის სულიერი პორტრეტი ს რ უ ლ ი ა ეს იდეალური, უნაკლო ადამიანი ისეთი სულიერი ცხოვრებით ცხოვრობს, რომლის ყველა დეტალი მკითხველისთვის ნათელია: რაზე ფიქრობს, რა მიზნები აქვს და რას ესწრაფვის. ტარიელს ცხოვრება რთულდება. მას ნესტანი უყვარს, მის ბედნიერებას სიფათი ემუქრება, ბოლოს მის ცხოვრებაში კატასტროფა ხდება — იგი ნესტანს კარგავს. ამის შემდეგ ტარიელის ყველა ფიქრი და სრუება მისი ცხოვრების ამ დიდ უბედურების გარემო ტრიალებს: მისი სულიერი ცხოვრების შინაარსს ნესტანის ძენისათვის დაკავშირებული განცდები შეადგენენ. აქაც, ისევე როგორც ადრე, ტარიელის სახე იდეალურითა და სრულიც: იდეალური იგი იმიტომ არის, რომ არსად, ცხოვრების არცერთ მძიმე მდგომარეობაში არ კვარგავს იმ მაღალ ღირსებებს, რომელიც მას საერთოდ ახასიათებს. სრული კი იმიტომ არის სულიერი პორტრეტი, რომ მისი განცდები და საზრუნავი, რაც პოემამია დასატული, სრულებით საკმარისია, რაგინდარა გმირი და ბრძენი ადამიანის ცხოვ-

რება შეავსოს. ტარიელის სახე ერთ-ერთად სრულყოფილია და ცოცხალი. რუსთაველმა თავის იდეალს ხორცი შეასხა, იგი ნამდვილად ადამიანად აქცია.

ავთანდილი სრულებით უნაკლო გმირია, ისევე, როგორც ტარიელი. მაგრამ ამა ვნახთ, როგორი დრამატულია მისი თავგადასავალი, რა რთული წინააღმდეგობები სვდება მას ცხოვრებაში, რომლებიდანაც თითქმის გამოსავალი არ არსებობს: თინათინმა ავთანდილს სიყვარული გაუშვილა და უცხო მოყმის საძებრად გაგზავნა. ორ წელიწადს და ათ თვეს უნდა მონახოს ტარიელი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი შერცხება თინათინთან, რაც მისთვის სიკვდილზე უარესია. ამ დროს იგი მართლაც ნახულობს გასულზე ტარიელს, მაგრამ მის ამბავს სხვაგვარად ვერ შეიტყობს, თუ არ ასამათისაგან, რომელიც გადაჭრით უარს ამბობს ტარიელის ვინაობის გამსვლას: ავთანდილი იძულებულია ძალა იხმაროს და ასამათის დაშინება სცადოს — სხვაგვარად იგი ხელცარიელი უნდა მიბრუნდეს თინათინთან. ეს ხერხი ასამათზე არ სტრის: ას-



* მოსრა — დახოცა. მოსრინს — ხოცავდა ხოლმე.

მათისთვის სიკვდილი ტაბილია, ხოლო ტარიელის საიდუმლოს იგი არავითარი იძულებით არ გათქვამს.

*ეგე ამბავი ცოცხალსა ენათა ვერ მოტეჴვეწინო.
მე თავი ჩემი ნებითა ჩემითა მოვაკვლევინო.
ვითა ესტარი ბედითი (რო გო რ ე უ ს ა რ გ ე ბ ლო
წერ ილი) ადვილად დავაგზავნინო.*

ასე ეუბნება ასმათი ავთანდილს. მაშინ ავთანდილი ახალ ხერხს ხმარობს — იგი ასმათს თავის გასაჭირს უმსჯელს და თავს აცოდებს. და აი, მისგან ნაწყვეტი ასმათი იმდენ კეთილშობილებას იჩენს, რომ ავთანდილს მართლაც ყოველგვარ დახმარებას უწყვეს. ამგვარად, ავთანდილი ასმათისაგან საუკუწოდ დავაღვნილია. თუ მას სურს სპეტაკ ადამიანად დარჩეს, იგი ამ ვაჟს ვერასდროს ვერ დაიწყვეტს.

ტარიელი და ავთანდილი დამეგობრდნენ. ავთანდილს სწავას მძაფრი სიბრალული და სიყვარული მეგობრისადმი, რომელმაც მას თავის თავგადასავალი უამბო, რითაც თავს უდიდესი ტანჯვა მიაცენა. თუ მას სურს, კეთილშობილი ადამიანი იყოს, მან ტარიელსაც, ისევე როგორც ასმათს, სამაგიერო უნდა მიუსწოს. მართლაც, ავთანდილი აღუთქვამს ორივეს, რომ თინათინთან მივა, ისევე მობრუნდება და ტარიელს ნესტანის ძებნაში დაეხმარება. ამას ავთანდილს ვალის შეგნებაც უპარანასებს და მეგობრული გრძნობაც.

აზაბეთისკენ მიმავალ ავთანდილს ასმათი მიჰყვება და,


თუმცა ავთანდილს დაბრუნების პირობა უკვე მიცემული აქვს, მაინც კიდევ იმსხვე სთხოვს. ეს იმიტომ, რომ ავთანდილს იქით არც ასმათს და არც ტარიელს გზა აღარ აქვთ, ავთანდილის ღალატი მათთვის საბოლოო კატასტროფას ნიშნავს. ეს დრამატული სცენა რუსთაველს უდიდესი პოეტური ძალით აქვს აღწერილი.

*ავთანდილს ასმათ ჩამოჴყვა, ჴუნარით (ფიცით)
ეუბნებოდა,
მუხლთა უყრიდა, ტირილდა, თითთა ეხვეწებოდა,
აღერ მოსვლასაჲ კვედრებდა, მართ ვითა ია ჴნებოდა.*


ამგვარად, ავთანდილი უნდა და დაბრუნდეს, მას სხვა გზა არა აქვს.

არაბეთში ავთანდილს ჴეიმიტ ხვდებიან. ადამიანის დიდება და უსაზღვრო ბედნიერება, როგორც ავთანდილს ამჴერად არაბეთში წილად ხვდება, ასე ცოცხლად და ასე გრძნობით მსოფლიო ლიტერატურაში თითქმის არავის აღუწყვრია. მაგრამ ავთანდილი მაინც უნდა წაეიდეს არაბეთიდან, უნდა მიატოვოს თავისი სატრფო თინათინი და გამოსრდელი როსტევეანი.

ავთანდილის ტანჯვა, თინათინთან განშორებით გამოწვეული, ბუნებრივია და მკითხველისთვის გასაგებიც. ამავდროს, ავთანდილი იძულებულია სხვის დასახანად ღალი და მხიარული ჩანდეს, რათა მისი მიჯნურობა ვერაგინ შეინიშნოს. ავთანდილი არაბეთიდან გაიპარა, მაგრამ ტარიელი მას



შატავრი ლალო გულიაშვილი.



შატავრი ირ. თოიძე.



ქართვებმა ეკმა „ვეფხისტყაოსანს“ შიგ ჩააგანა თავისი ცაგმ-
ლი და თავისი სიხარული, შიგ ჩაახვია თავისი სული და გული, შიგ
ჩააგანა თავისი უკეთესი შიქარი. ზაახხვანი, გიკმონიანი.

ილია

გამოქვაბულში არ დაუხვდა. ასმათისაგან აეთანდილი ტყო-
ბილობს, რომ მისი წასვლისთანავე ტარიელიც წასულა გა-
მოქვაბულდინ და უკან აღარ მობრუნებულა; ვაითუ ტარი-
ელმა გაუძღვინ ტანჯვა ვერ აიტანა და თავი მოიკლა! აეთან-
დილის მსხვერპლი და შრომა ამო გამოდგა: მან ტარიელს
ტრაგედია ვერ ააცილა. ბრძენს, თავდაჭერილსა და თავდაჭე-
რის მჭადავებულ აეთანდილს, აქ სისუსტე სძლევის: იგი უდა-
ნაშაულო ასმათს მწარე საყვედურს ეუბნება აგრეთვე უდანა-
შაულო ტარიელის მისამართით.

ქალს ეტყვის: ევა, დაო, ეგეთიმეა კაცი ნუა!
იგი ფიცს ვით გატეხა? არ ვეცრუე, ვით მეცრუა?
ვერ იქმნოდა, რად მიქადა? თუ მიქადა, რად მიტყუა?
მე უმისოდ სოფელს ყოფა რადიგან ჩირად არ მიღირდა,
რად დავეწყვიდი, რად მოვსცილდი, რად ვერ გასძლია,
რა მისჭირდა?
მან გატეხა ზენარისა (ფ ი ც ი ს ა) რად შემართა (რ ა დ
გ ა ბ ე ლ ა), ვით გაიძირა?

მაგრამ, ამ პირველი აღლევების შემდეგ, რომელსაც მას-
ში ბედის ეს მოულოდნელი დარტყმა იწყებს, აეთანდილი

სძლევს თავის თავს, ასმათს ეუბნება, რომ ტარიელი მართა-
ლია, და მის აქტიურ დახმარებას განაგრძობს.

აეთანდილის ეს განცდები დრამატულია: მასში ორი ურ-
თიერთსაწინააღმდეგო გრძობა, თითქმის განუწყვეტლად,
ერთმანეთს ებრძვის. მისი სულიერი პორტრეტიც სრულია —
მისი განცდები იმდენად მდიდარია, რომ სრულებით სუამა-
რისია, რათა ბრძენი და გმირი ადამიანის მიელი სულიერი
ცხოვრება მოიცავს.

ამგვარად, აეთანდილის სასვე რეალურია. ცოტახალია. ამა-
ვე დროს, იგი უნაკლოა: აეთანდილს ადამიანის ატყვერთი
ღირსება არ აკლია.

ცნობილია, რომ დადებითი გმირის სახის შექმნა მწერ-
ლისთვის ყველაზე რთული ამოცანაა. მით უფრო ძნელია ლი-
ტერატურაში იდეალური, უნაკლო ადამიანის ისე დასატვა,
რომ ეს მკითხველისთვის ამაღლებებელიც იყოს და დამაჯე-
რებელიც. რუსთაველმა ეს ამოცანა ისე ბრწყინვალედ გადაჭ-
რა, როგორც არც ერთ მწერალს არ გადაუჭრია, არც მანამდე
და არც მის შემდეგ.

ნოღარი ნათამაძი,
ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.



მხატვარი შჩა ჯაბარბეძე.



მხატვარი ლევან ცხაძინიძე.

გაბრიელ
ჰაბეშაშვილი

ბეჭეხის სამყისა სკისორი

გულს გვაგებებთ მაგ სტრიქონებს,
როგორც დილის მობრძანებას.
აკვნიდანვე ჩაგვაგონეს
ჩვენ შენდამი მოკრალეობა.

შენს დიად წიგნს, სიბრძნის განძით
რომ ჩახნახებს მზისებრ ძალით,
ვით მშობელი დედის მანდილს,—
ხელში ვიღებთ ისე კრძალვით.

შენი სიტყვა ერთად შეგვეყრის,
რომ მარადეაშს მოსწრათ მტერი.
შენი წიგნი ჩვენი ქვეყნის
არის სუნთქვა, შნო და ფერი.

წინ მიუძღვი, კარგო შოთა,
ქართულ ლექსის დიდოსტატებს.
ეგ წიგნი რომ არ გვექონოდა,—
მზე გვაკვლებოდეს თითქოს ცაზე.

გეწამს, წინ მარად დარი გველის,
გეწადს, მხნე ვიყოთ და თან ზრდილი,
როგორც შენი ტარიელი,
როგორც შენი ავთანდილი.

ჩვენ სინაზე მზესთან მიგაქვს
და გულიც გვაქვს მისებრ თბილი.
ზოგი—შენი ნესტიანი ვართ,
ზოგი—შენი თინათინი.

შენს დიად წიგნს, შოთაგ ქველო,
შეგხარით და ნათლით ვმოსავთ,—
როგორც ჩვენი საქართველოს
ცის თალამღე აწვედილ დროშას.

ჩუკ დავიჯიკებ




გორის ფხაზე დგას ერთი თამელი—
ჩემი ბავშვობის თანაზიარი,
იმის ტოტებქვეშ მე რუსთაველმა
გულს ჩამიყენა შუქი მზიანი.

ისევ შრიალებს ცალად თამელი,—
მაგრამ ვის შვენიის განმარტობა?!

არა მგონია, რომ რუსთაველი
ქართულის მიწის და ცას დატოვებდა.

ეპ, ვინ რა იცის,
წუთისოფელმა
რა ცეცხლის კალო არ აღეწინა!..
მაინც არ მინდა, რომ დავიჯერო, —
სად—საქართველო,
სად—ბაღესტინა!

იჩაბკლი ტუნტურაშვილი,
სახალხო მოქმედი (დუშეთი).



არ დავიწუება მოყვრისა
აროდეს გვიჩაშნ სიანსა.

ბორტოს სმლია კეთილმან,
არსება მისი გრძელა!

განიერსა მწვრთნელი უგვარს,
უგურსა გულსა ზეპირდეს.

დიდთა სეთა მოყრევის,
მცირე დასწავას ნაბერწკალი.

კატემა კაცსა აუგანსა,
ცრუსა და ღაღატანსა.

თუ შენი თავი თან გახლავს,
ღარბიბად არ იხსენებ.

კოკასა შიგან რაცა დგას,
იგივე წარმოდინდების!

ლეკვი ლომისა სწორია,
ბუ იუოს, თუნდა სვადია.

რასცა გასცემ შენია,
რაც არა—დაკარგულია.

სჯობს სიცოცხლესა ნაზრანსა
სიკვდილი სახელოვანი!

ქმნა პართლისა სამართლისა
ხესა შეიქმნ სმელსა ნელად.

ხამს, თუ კაცი არ შეურდვეს
ჭირს, მიუხდეს მამაცურად.

ენო ბავარავილი

მხატვარი იური კლიბაძე

ქრისტიანული დკუხელი

Jივანე ვდგავარ, ირავლივი მიჩუმებულია ყველაფერი. მხოლოდ ენოდან მოისმის ხანდახან ჩემი დების — მარინესა და ლელას ქიჭყინი. რალაცაზე დავობენ. ოთახში მამამ დაახვინდა. მამაჩემი გუშინ ჩამოიყვანეს თბილისიდან და საკაციო მპოიყვანეს მალდა.

მამა მხარბეგინი კაციო, მავრამ... ფეხები ალარა აქვს, ომში ღაკარვა. ემ, ბედი არ გინდაი როცა მამაჩემის წერილი მოვილა, ვიფიქრე: ეს არის მეშველა, დღის სკოლაში გადავალ-მეთქი. მავრამ, აბა, როგორ გადავალ? უარესი გასაპირიო აქვს ჩვენს ოქსას. დედა ახლა უფრო დატვირთულია; მამას მოვლა უნდა... ოქსასის საქმეც ხომ თავისას თხოვლობს.

წეგს მამა ლოგინო და ოს კედელს შესცქერის. გული მიკვდება, როგორ უძლებს ამდენ წოლს?! ნუთუ არ უნდა ენოში გავლა, მეწონლებთან საუბარი. რამდენი წელია, არ უნახავს აქაურობა. ემ, რა სულელი ვარ. ბევრიც რომ უნდოდეს, როგორ გამოვა გარეთ? მეცოდება. ლამის ვიტბირი. შინა ვარ თუ გარეთ, სულ მამაზე ვფიქრობ. არაფერს ვამბობ, მავრამ კაცს გული თუ დარდნი აქვს სადეს, გინდაც არაფერი თქვას, თურმე მაინც ეტყობა სახეზე. დედაჩემი ზოგაჯერ მეტყვის ხოლმე: შვილო, მამაშენზე ნუ დარდობ, პატარა ხარ, გული დავეჩნარებო, მე რომ ვდარდობ, ისიც ეყოფა, თუ კი რამეს უშველისო.

— დათო, შინა ხარ? — ფიქრი შე-მავუკვებინა მამის ხმამ. მამაშენე ოთახში შევედი.

— რა, მამა, რა გინდა?
— მოდი, დაქექი, შვილო დაქექი.
მამა ღიმილით მიუყრებს. მეც ვიღიმი.

— შენ ახლა რომელ კლასში ხარ?
— მკითხა მამამ.

— მერვეში გადავედი. საღამოს სკოლაში ვსწავლობ.

— საღამოს სკოლაში? — გაუკვირდა მამას.

— ჰო, მამი. ომის დროს ძალიან გაგვივირდა და საღამოს სკოლაში გადავედი. დღისით კი — ვმუშაობდი. ახლაც ვმუშაობ.

მამამ შუბლი შეიქმუნხა. არ ვიცო, ჩემი ნათქვამი არ ესიაშოვნა, თუ ფეხები ასტკივდა. მან ჭერი თავი წამოსწია, მერე — მხრები. აღბთა წამოქვლია უნდოდა. რომ ვერაფერს ვახლა, ისევ ბალიშზე დევიცა. ხელი მივაშველე, მინდოდა მივხმარებოდი, მავრამ მამამ აღარ მოინდომა წამოქვლია. ძალიან შემეწოდა და ცრემლები დააშლით წამოვივიდა.

მამამ მხარზე ხელი დამადო.
— რა გატბრეხი, შვილო, სულ ასე კი არ ვიქნები.

შემრცხვა ჩემი ცრემლებისა და გარეთ გავვიდი.

მარინე და ლელა ისევ კინკლაობდნენ ენოში, მგონი ჩითვის ნაკუწებზე დავობდნენ: არა ჩემია და, არა ჩემიო.

— ნეტავი თქვენ, გოგოებო, რომ არაფრის ღარდი არა გაქვთ! — ვთქვი ჩემთვის. ნეტავ რათა თქვა მამამ, სულ ასე ხომ. არ ვიქნებო. მამ როგორ იქნებო? ადგება და ივლის? როგორ? როგორ ივლის, როცა ფეხები არა აქვს?!

სამუშაოდან დალილი-დაქანცული მოვიდივარ. შარაზე ურმები და მანქანები დღიან. მტერის კორიანტელი დღას. მე მოკლულზე გადავედი და სოფლისკენ მიმავალი ორლობეს გავუღეკი? აქ არც მტერია, არც ურმებისა და მანქანების რახარახი. ის იყო ორლობე ავათავი, რომ ბრწყინვალის ბურჭობიდან მარინე და ლელა გამოცვივდნენ.

— დათო, იცი ვინ მოვიდა ჩვენთან?
— ვინ მოვიდა?
— ალექსანდრე ძია, ალექსანდრე ძია!

— შეტყვირეს ერთხმად.

ალექსანდრე ძია — დედაჩემის ძმია. თბილისში ცხოვრობს.

— იცი, რა მოიტანა? — ერთხმად ნეთს არ აცდობდნენ გოგოები, — დიდი, ვეებერიოელა, თანაც შეკრულია კანადოთ.

— ჰო, კარგი. ახლა სად მიღიხარო?
— არსად. აი, იქ ვთამაშობდით და, შენ რომ დავინახეთ, გამოვიქცივით, —თქვენს და ისევ მოკურსდებდნენ.

მე კი განვაგრძე გზა. „ნეტა რა მოიტანა ალექსანდრე ძიამ?“ — ამ ფიქრით შევედი ოთახში.

ალექსანდრე ძია მამაჩემის საწოლთან იჯდა და მამას ელაპარაკებოდა. მე რომ შევედი, წამოხდოდა და მაკოცა.

— მუშას გაუმარჯოს, მუშას ბევრი იმუშავე დაღს!

— ისე რა, — მიგვებე ღიმილით და თვალი ტახტიკენ გავაპარე, ტახტზე რაღაც იდო, თეთრ ქალაქში გავხვეული.

— მოხვიდი, შვილო? — მკითხა დედაც, — დაქექი, უნდა იდო.

